№ 51

ოთხშაბათი, 9 მარტი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალი ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 51

ოთხშაბათი, 9 მარტი 1894

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 9 მარტს

ქართულ დრამატიულ არტისტთა ამხანაგობისაგან

წარმოდგენილი იქნება:

## ჰამლეტი

დრამა შექსპირისა, თარ. ი. გ. მაჩაბლისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:**

ქ-ნი საფაროვ-აბაშიძისა, ავალიშვილისა, მაქსიმიძისა, ნებიერიძისა და ბ-ნნი ვ. აბაშიძე ვ. ალექსი-მესხიშვილი, კ. ყიფიანი, . გედევანოვი, კ. შათირიშვილი, გ. კანდელაკი, ი. მჭედლიშვილი, ა. ადამიძე და სხ.

ადგილებს ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 7 1/2 საათზე.

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი

ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი

ტფილისის სამუსიკო კრუჟოკი

პარასკევს, 11 მარტს,

ბ ე ნ ე ფ ი ს ი

სამუსიკო კრუჟოკის დირიჟორის

**ი. ბ. ფალიაშვილისა**

სალიტერატურო-სამუსიკო

## საღამო

ოთხ განყოფილებად.

განყოფილება 1-ლი

იმღერებენ სხვა-და-სხვა სასიმღეროს: მოყვარულთა ხორო, ბ-ნი, ცხომელიძე, რატილი, ქ-ნნი ფარნისა, მიხეევისა, ერნესტოვისა.

განყოფილება 2-რე

## შეშლილის წერილები

თხზ. გოგოლისა

წაიკითხავს ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი რუსულს ენაზედ.

განყოფილება 3-ე

## ცელქები

ვოდ. 1 მოქ. ვ. აბაშიძისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. საფაროვის მელიქიშვილისა და ჩერქეზიშვილისა. ბ-ნნი ვ. აბაშიძე და გედევანოვი

განყოფილება 4

## სტრადელლა

ოპერა ფლოტოვისა, 2 მოქ. დასასრული

იმღერებენ: ბბ-ნნი რატილ და ცხომელიძე

დასაწყისი საღამოს 8 ს.

(2—1030—1)

**რჩევა წმინდა ნინოს დედათა საქველ-მოქმედო საზოგადოებისა ამით აცხადებს საყოველთაოდ,** რომ: ვისაც ჰსურს, თავისი ქალი მიაბაროს წმინდა ნინოს დედათა სასწავლებლის პანსიონში, უნდა ამაზედ თხოვნა შეიტანოს საზოგადოების რჩევის სახელობაზედ არა უგვიანეს 15 აპრილსა, ხოლო ვისაც ჰსურს მიღება პანსიონში თავის ხარჯზედ, თხოვნა უნდა შეიტანოს არა უგვიანეს 15 ივნისისა. თხოვნასთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი ა) მეტრიკის მოწმობა დაბადებისა და ნათლობისა, ბ) ექიმის მოწმობა აცრისა და ჯანმრთელობისა, გ) მოწმობა შთამომავლობისა და სიღარიბისა, თუ ჰსურთ თავიანთ ქალის მიღება საზოგადოების ხარჯზედ. ვინც აღნიშნულ ვადაზედ გვიან შემოიტანს თხოვნას, იგი დატოვებულ იქმნება რჩევის-მიერ უყურადღებოდ.

(2—1)

დანიშნული ოცდა-შვიდს წარსულ თებერვლისას ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა კრება არ შესდგა, რადგანაც კანონის მოთხოვნილებისამებრ თავად-აზნაურობა არ შეკრბა.

ამისა გამო **ბორჩალოს მაზრის კეთილ-შობილთა** წინამძღოლმა თ. გიორგი ილიას ძე ჯამბაკურიან-ორბელიანმა დანიშნა მაზრის კრება ცამეტს ამა მარტისასა და სთხოვს, იმ თავად აზნაურობას მაზრისასა, რომელთაცა აქვსთ უფლება არჩევანებში დასწრებისა ამა კრებაში, მობძანდნენ ზემო აღნიშნულს დღეს, დილის თორმეტს საათზედ კვირას, ტფილისის კეთილ-შობილთა დეპუტატთა საკრებულო სადგურის დარბაზში, პუშკინის ქუჩაზედ, ექიმ კუკუჯანოვის სახლში, სადაც შესდგება ბორჩალოს მაზრის კრება, და ვიდრე კრება შესდგებოდეს, წარმოუდგინონ მას წინამძღოლს, დეპუტატთ საკრებულო კანცელარიაში საბუთნი თავიანთის უფლებისა, რომლის წარმოუდგენლობის გამო არ იქმნებიან ჩაწერილნი სიაში.

(3—2)

ტფილისი, 9 მარტს

—

ჩვენის პატივცემულის ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის ძმისწული, ბ-ნი ყარანგოზიშვილი სწერს აქაურს გაზეთს „Нов. Об.“-ს „რომ შემდეგ ბიძიჩემის გარდაცვალებისა, იმისმა მემკვიდრემ შესწირა დამთენილი ძვირფასი ბიბლიოთეკა განსვენებულისა სათავად-აზნაურო ბანკის სკოლას. ბიბლიოთეკაში, გარდა მრავალ დაბეჭდილ წიგნთა, იყო ძველი ხელთნაწერები და აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავი ხელთნაწერი თვით ბიძის ჩემისა.

სხვათა შორის, იქ იყო დიდი კრებული სხვა-და-სხვა მასალისა დასასტამბად მომზადებული. ახლა მე გავიგე, რომ ეს კრებული სათავად-აზნაურო სკოლის წიგნთსაცავისაგან გამქრალა. ამასთანავე შევიტყვე ისიც, რომ ზემოხსენებული კრებული როგორღაც დიმიტრი ბაქრაძის ხელში ჩავარდნილა და იქიდან უშოვნია ერთს ვისმეს, რომელმაც ეს ხელნაწერი თურმე მიითვისა და ჰბეჭდავს როგორც თავის შრომის ნაწარმოებს.

ვსთხოვ სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორს განმიმარტოს: ნამდვილად დაკარგულია ხსენებული კრებული, თუ არა? და თუ დაკარგულა, როგორ და რა დროს?“

ჩვენ მთლად გადმოვიღეთ ბ ნ ყარანგოზიშვილის წერილი; გადმოვიღეთ მთლად იმიტომ, რომ ამ საქმეში ორი ფრიად საყურადღებო და სამწუხარო საგანი არის გამოსარკვევი და განსასჯელი.

პირველი ბრალდება შეეხება უდიდესს სალიტერატურო დანაშაულობას—ლიტერატურულ ქურდობას. ხოლო მეორე მარტივად ჰხატავს ჩვენებურ საქმეთა მოვლას და შჳრისუფლობას.

მაგრამ ამას დაუბრუნდეთ შემდეგ, და ეხლა შევატყობინოთ ჩვენს მკითხველს რა მოჰყვა პლატონ იოსელიანის ძმისწულის წერილს.

მიუღია თუ არა „Н. О.“-ს რედაქტორს წერილი ბ-ნის ყარანგოზიშვილისა, იმ წამსვე გაუგზავნია იგი სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორისათვის, რომელზედაც ბ-ნი ჭიჭინაძე შემდეგს პასუხს იძლევა: „ზემოხსენებული წიგნთ-საცავი, მე არ ჩამიბარებია, და იმ დროიდან რაც მე აქ ინსპექტორად ვითვლები, ამ წიგნთ-საცავიდან არავის არაფერი არ წაუღია“.

ამ გვარს მდგომარეობაშია დღეს ეს საქმე.

ჯერ ჩვენ, რასაკვირველია, არ შევეხებით იმის დაფასებას, თუ რა არის და რა სახელი უნდა ეწოდოს ლიტერატურულ ქურდს, რადგანაც თვით ეს მძიმე ბრალდება, რომ ერთს ვისმეს პლატონ იოსელიანის ხელნაწერი მიუთვისებია და საზოგადოებას თავისად აჩვენებს—დამტკიცებას საჭიროებს. მაგრამ ამისვე თქმა აღარ შეიძლება შესახებ მეორე გარემოებისა ამ საქმეში.

პლატონ იოსელიანის მემკვიდრეს სხვა ძვირფასს წიგნებს და მანუსკრიპტებს შორის თვით ჩვენის ისტორიკოსისაგან შედგენილი საისტორიო მასალა, რომელიც ერთ დიდ რვეულად ყოფილა შეუწირავს სათავად-აზნაურო სკოლისათვის. შემდეგ, ეს ხელნაწერი ჩავარდნია ხელში განსვენებულს მეორე ჩვენ ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს, ხოლო... აქ საუბედუროდ იკარგება კვალი ამ ძვირფასის ხელნაწერისა და ვარაუდით ეჭვი შეაქვთ, რომ იგი ვინმე უჩინარს მოღვაწეს მიუთვისებია.

ამ გვარი მოგზაურობა ერთის მწერლისაგან მეორესთან და შემდეგ მთლად გაფრენა უცხოსა მთიებსა ზედა—ადვილი გასაგებია. ეტყობა უბედურს საქონელს ჩვენის ფილოსოფოსისას უხეირო პატრონი შეჰხვედრია, რომელსაც ან არ სცოდნია მნიშვნელობა ამ ხელნაწერისა, ან დაუდევრობით უთავბოლობით საკმაო ყურადღება ვერ მიუპყრია და გაჰპარვია ხოხბის ჭუჭულსავით.

უეჭველია, ისეთის ძვირფასის განძის დაკარგვა, როგორიც უნდა იყოს ხსენებული ხელნაწერი, დიდი და საგრძნობელი დასაკლისია. მაგრამ ახლა ჩვენ მარტო ამ შემთხვევის გამო-კი არ ვაცხადებთ, რომ ამ გვარი წესი და რიგი საზოგადო საქმეთა წარმართვისა შეუძლებელია და ყოველი ღონე უნდა იყოს მიღებული, რათა შემდეგში მზგავსი ამისა რამე აღარ განმეორდეს. საჭიროა, თუ საკუთარს საქმეს არა, საზოგადოს მაინც ისე მოვექცეთ, როგორც შემოღებულია ევროპაში. ეს პირველი როდია ჩვენში, რომ როდესაც ახალს კაცს აბარებენ სკოლას, თეატრს, რედაქციას, ამ დროს არც ჩამბარებელმა და არც მიმღებმა არ იცის—ერთმა რა უნდა ჩააბაროს და მეორემ რა უნდა მიიღოს! ასეთი უთავბოლობის მოსასპობად, საკმაოა კაცს ერთის სიტყვის მნიშვნელობა ესმოდეს და ყოველს ამ გვარს შემთხვევაში იმას დაიხმარებდეს... ამ სიტყვას ეწოდება ინვენტარი.

იქ სადაც სკოლა, გაზეთი, თეატრი, ბანკი და სხვა-და-სხვა საზოგადოება არსებობს, განა შესაძლებელია, რომ სრული ინვენტარი თითოეულის ამ დაწესებულებისა უარ ჰყოფილ იქნას?!.. მაგრამ, როგორცა სჩანს ჩვენ ჯერ სიბეჯითის და მუყაითობის გზაზედ კიდევ ვერ გამოვსულვართ, და ამიტომ ხან ევროპიელებსა ვგავართ, ხან ნამდვილ აზიატებს.

ამ გვარი უსამოვნო შემთხვევის შემდეგ ხომ შესაძლებელია იფიქროს ვინმემ: ვაი თუ სხვაგანაც სადაც-კი ჩვენი სხვა-და-სხვა სიმდიდრეა შენახული, იქაც ასეთი წესია, და ოდესმე, იქნება არც რამე

## ფელეტონი

—

**საპედაგოგიო წერილები**

საიდგან და დაიწყოს მასწავლებელმა წერა-კითხვის სწავლება დედა-ენაზედ?

(საეკკლესიო-სამრევლო და საერო სკოლების მასწავლებელთა საყურადღებოდ).

(დასასრული *)

ახლა ვიკითხოთ, თუ როგორ და რანაირად უნდა შეამზადოს ყმაწვილები მასწავლებელმა სწავლისათვის, როგორ უნდა გაატაროს პირველი დღე სკოლაში?

ბავშ, როგორც ვსთქვით, შედის სკოლაში პირდაპირ ოჯახიდამ. მაშასადამე, საჭიროა დავაახლოვოთ სკოლა ოჯახსა, არ შევამჩნევინოთ ბავშვს ოჯახის და მშობლების მოშორება. ამას გარდა, როგორც ვიცით, ბავშვს სკოლაში პირველად ძალიან ეხამუშება, ეძარდება, სცხვენიან; ამისათვის საჭიროა დავამშვიდოთ, მოვიზიდოთ ბავშვი ჩვენკენ, გავიკეთოთ იმის წინაშე სახელი და ესტიბარი კეთილის ადამიანისა. მასწავლებელმა უნდა დაარწმუნოს საქმით ახლად შემოსული მოსწავლე, რომ აწინდელი სკოლა არის ახალი სკოლა, სადაც არცა სცემენ, არცა ლანძღვენ, არც თმებს აგლეჯავენ; რომ სწავლა არ არის მიუწდომელი, ძნელი მოსაპოვებელი და გამოუყენებელი მეტი ბარგი, არამედ იგი არის უძვირფასესი განძი, დიადი გონების ასამაღლებელი და ზნეობის განმასპეტაკებელი საშუალება, ერთი უსაჭიროესი სალარი სარწმუნოებისა, მამულისა და ეროვნების დაცვისათვის; რომ სწავლა მაგარი ციხესიმაგრეა, ბურჯი მათის აღორძინებისა და კეთილდღეობისათვის; მტკიცე და მძლეთა-მძლევი მარჯვენაა ყოველ გვარის უკეთურობისა და უგვარობის დათრგუნვისათვის, ბოროტებათა და მათ ხელ-შემწყობ გარემოებათა ფეხ-ქვეშ გასრესისათვის; რომ სწავლა არის საზომი ავ-კარგიანობისა, რომლითაც აღჭურვილს შეუძლიან მხოლოდ დაადგეს სწორე და საიმედო გზასა; რომ იგი არის საუკეთესო იარაღი კაცის ცხოვრებაში, რომელსაც ვერ შეედრება ვერც ბასრი ხმალი, ვერც სწრაფი თოფი, ვერც სიმდიდრე ნივთიერი, ვერც ჯანმრთელობა, ვერც ჩამომავლობითი კაცის ღირსება, რადგანაც ყველა ამას „მახე უგია, თავისი გასაყოფელი“, ხოლო სწავლა არს უხილავი საუნჯე, რომელსაც „ხელი არ შეეკარების, არც ცხადის ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების“; რომ სწავლაა ის ლამპარი, რომლის შემწეობით შეუძლიან მოზარდ თაობას მიიღოს სახელი ნამდვილის მამულისშვილისა, დაიმსახუროს სამშობლოსა და მამულის წინაშე თავის პირადის წმინდა ღვაწლით პატივი და ღირსება, ხოლო ზოგიერთს შემთხვევაში თვით უკვდავი სახელიც.

პირველ შთაბეჭდილებას დიდი გავლენა აქვს ბავშვებზედ. ამის გამო, თუ რომ პირველ დღეს ბავშვი წავა სკოლიდგან მხიარული და კმაყოფილი, ხვალ უდარდელად მოვა კვლავ სკოლაში და სიხარულით მოილოდინებს მასწავლებლის, როგორც კეთილის მამის, სკოლაში მოსვლას; ცოტ-ცოტობით მიეჩვევა ახალ სკოლის ცხოვრებას და შეიქმნება ახალი, ნამდვილი წევრი დიდის სკოლის ოჯახისა. გააცნობს რა მასწავლებელი თავის თავს და სკოლას შაგირდებს, საჭიროა ამ ნაირადვე გაიცნოს მან მოსწავლეები თვითონაც: შეიტყოს, თუ ვის რა სახელი ჰქვიან, რამდენის წლისაა, საიდგან არის? ეს მით უფრო საჭიროა, რომ არ დაუწყოს, როგორც ზოგიერთ მასწავლებელთ აქვთ ჩვეულებად, ძახილი ბავშვებს: „ეი, შენ! შენ, ნაპირავ! შენ, შემდეგო“ და სხ. და სხვანი. ამასავე თანაც მოითხოვს დისციპლინა. მასწავლებელს მხოლოდ მაშინ შეუძლიან კარგათ განაგოს კლასი და რიგიანი თვალ-მჭერელი იყოს, როდესაც ყველას იცნობს და საჭირო არ არის მისთვის სიაში ჩახედვა იმის გასაგებად, თუ ვის დაუძახოს, ან ვინ მიუგოს პასუხი. ამასვე მოითხოვს სასწავლო მეთოდა: შესრულება პედაგოგიურის მოთხოვნილებისა, რომლის თანხმად

*) იხ. „ივერია“, № 50.

დარჩეს იმ ძვირფასს განძებსა და სამკაულთაგან, რომელიც დღეს გვეგულება?

ტყუილი და უბედური აზრია იმის ფიქრი, რომ უკანონოდ ცხოვრება შესაძლებელი იყოს, საზოგადოებისათვის. სანამდე მტკიცე და შეურყეველ ნიადაგზე არ იქნება აგებული საზოგადოების წევრთა ურთიერთობა და დამოკიდებულება, მანამდე აღთქრთოვანებული, რახა-რუხით შემოსილი სიტყვა პასუხი—რომ კანონსა და ცხოვრებას შუა დიდი მზღვარი უზისო, უაზრო და მავნებელი ლაპარაკია. საჭიროა, რომ ეს ორივ, ერთად იარებოდეს სიყვარულით და თანხმობით, როგორც მოყვარული და ძმა და, მხოლოდ მაშინ იქნება საიმედო ჯეროვანი განვითარება ერისა.

ინგლისის ერი უწარჩინებულეს ერად ითვლება მთელს დედამიწის ზურგზე და ეს ინგლისის ერი, სწორედ ამ ცხოვრებისა და კანონის ერთმანეთთან შეთანხმების წყალობით არის იმ განათლების ხარისხზე, რომელსაც შენატრის დანარჩენი კაცობრიობა.

გარეშე წესისა—პროგრესი წარმოუდგენელია. ეს, დიდისა და პატარა ერის შესახებ—თანასწორი ჭეშმარიტებაა და ნურვინ იფიქრებს, რომ ამ კანონის დაუსჯელად გადალახვა შესაძლებელი იყოს!

მეველე

# ახალი ამბავი

*** ბ-ნს გ. ტატიშვილს, რომელიც ცნობილია, როგორც კარგი ამომჭრელი ხეზედ სურათებისა, სახიანის ასოებისა და სხვა ამისთანებისა, დაუმზადებია ძვირფას ფერადებით სახე შ. რუსთაველისა, ესე ქართულ ორაბაზიანის ოდენა და ჩაუსხავს ოქროსა და ვერცხლის ასახდელ ბუდეებში, რომელიც ოქრო-მჭედლისათვის გაუკეთებინებია. ასეთი სურათები ბრელოკებათ და ბროშკებად არის სახმარი. შ. რუსთაველის სახის გარდა, გაუკეთებია აგრეთვე ბრელოკბროშკებად და გულის ქინძისთავებისათვის სახე თამარ-მეფისაცა. ყოველ ამის ნახვა და, ვგონებთ, ყიდვაც შეიძლება არწრუნისეულ ქარვასლაში, „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნების მაღაზიაში“.

*** ამ დღეებში პირველ გიმნაზიის მეოთხე კლასის შეგირდმა ბორის სტაროსივილსკიმ თავი მოიკლა.

აი რა გარემოებას გამოუწვევია თურმე ეს თავის მკვლელობა. რამოდენიმე ხანი ამ ბოლოს დროს ახალგაზდა სტაროსივილსკი დედის სახლიდამ გადასულა ერთს თავის ამხანაგთან და ქეიფი დაუწყვია. ერთს თავის მეგობარს სტაროსივილსკი გამოსტეხოდა და ეთქვა, რომ დედას 115 მანეთი მოვპარეო. ამ ფულისაგან 8 თუმანი დამარხული მაქვს მთა-წმინდის ერთს ადგილას, დანარჩენი-კი შემომეხარჯაო ქეიფსა, თუ რევოლვერის ყიდვაშიო. ეს ამბავი გამოუცხადებიათ მასწავლებლისათვის, რომელმაც თურმე უბრძანა სტაროსივილსკის, დედაშენი მოიყვანეო, მაგრამ დედასთან ეს ყმაწვილი არ მიდიოდა და დედამაც არ იცოდა სად იდგა შვილი. მერე როცა მასწავლებელს გამოუკითხნია, ფულები სად იშოვე საქეიფოდაო, სტაროსივილსკი გამოტეხილა და ამის შემდეგ თავიც მოუკლავს, როცა დაუნახავს, რომ ასეთი საქციელი უბრალოდ არ ჩამივლისო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ მთავარმართებლის საბჭოს წევრი, ტაინი სოვეტნიკი პეშჩუროვი უმაღლეს ადგილს მიიღებს და გადაყვანილ იქმნება პეტერბურგშიო.

*** ყველა ტამოჟნას ჩვენში დეპეშით ბრძანება მოუვიდა საფინანსო მინისტრისაგან, რომ გერმანიასთან რუსეთის მიერ სავაჭრო ხელ-შეკრულობის ძალა 8 მარტიდამ უნდა შევიდეს ყველგან მოქმედებაშიო.

ტფილისის ტამოჟნამ, თანახმად ამ ბრძანებისა, გუშინდელ დღიდგან დაიწყო ამ ახალის ხელ-შეკრულობის ძალით მოქმედება.

*** გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 9 მარტს, ქართულ დრამატიულ დასის არტისტების ამხანაგობა ჰმართავს პირველ წარმოდგენას ამ დიდ-მარხვაში. წარმოდგენილი იქმნება დრამა შექსპირისა „ჰამლეტი“, რომელშიაც უმთავრესს როლებს ქართულის სცენის საუკეთესო არტისტები შეასრულებენ.

*** მას შემდეგ, რაც სოხუმიდგან ნოვოროსიაზედ გზა-ტკეცილი გააკეთეს, გამოცხადებული იყო, რომ იჯარით გაიცემა ფოსტისა და საზოგადოდ ეტლების მიმოსვლაო. დანიშნული იყო ვაჭრობა ამ იჯარისა და კიდეც დარჩა ერთს. მთავარ-მართებელმა ეს ვაჭრობა წარუდგინა შინაგან საქმეთა მინისტრს დასამტკიცებლად, მაგრამ ამ დღეებში ამბავი მოვიდა პეტერბურგიდგან, რომ მინისტრს არ დაუმტკიცებია ეს იჯარა, რადგან ზემოხსენებული გზა-ტკეცილი სავსებით არ არის დასრულებული ჯერ ხანად და სანამ არ დამთავრდება ყოველივე მუშაობა ამ გზაზედ, მანამ ფოსტისა და ეტლების მიმოსვლის საქმეც უნდა შეჩერდესო.

*** წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების წიგნთ-საცავს შემოსწირეს:

თ. რ. ერისთავმა—ა) „ივერია“ 1892 და 1893 წლებისა, ბ) „კვალი“ 1893 წ., გ) Кавк. календарь 1893 г. დ) записки кавк. отдѣленія Имп. Геогр. общества, кн. XIV, вып. II, 1891 г., ე) ქრონიკა საქართველოსანი (ხელ-ნაწერი) და ქრონოლოგიური დავთარი მეფეთა და ამბავთა (ხელთ-ნაწერი).

ბ-ნმა სტ. რამანაშვილმა—სამღვთო და სამღვდელო სახარება, დაბეჭდილი 1709 წ.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

*** ჩვენ მოგვივიდა ცალკე წიგნად გამოცემული რუსულს ენაზედ გ. ა. რიბინსკის „Сухумскій округъ. Абхазія въ сельско-хозяйственномъ и бытевомъ отношеніи“. (აფხაზეთი მეურნეობისა და ყოფა-ცხოვრების მხრივ) და მოხსენება სამეურნეო საზოგადოებაში წაკითხული იმის შესახებ, რომ საჭიროა სოხუმის ოლქში სამეურნეო საზოგადოება იქმნას დაარსებულიო. წიგნი ლამაზად არის გამოცემული, შეიცავს 58 გვერდს და ჰღირს 70 კაპ., ხოლო გლეხთათვის 30 კაპ.

*** დ. ლანჩხუთი: აქ ძლიერ ბევრნი არიან მსურველნი საღ ყაჭის თესლის შეძენისა, მაგრამ ვისგან ან საიდგან შეიძინონ, არ იციან. ვილაც ბერძენს მოუტანია ძლიერ ბევრი ყაჭის თესლი, მაგრამ რამდენად საღია, არ ვიცით და საეჭვოთაც მიგვაჩნია მისი სიკარგე: ერთი იმიტომ, რომ ძლიერ იაფად აფასებენ—მისხალს 30—40 კ. და მეორედ—მზიან დღეში ბაზარ-ბაზარ და სოფელ-სოფელ ატარებენ გასასყიდად. თესლი უნდა ინახებოდეს გამოყვანამდე ცივ სახლებში. ამ გვარად მოქცევა თესლისა, თუ გინდ კარგიც იყოს, გააფუჭებს, ხოლო საღი რომ იყოს, ჩვენის აზრით, არც ასე გაუფრთხილებლად მოეპყრობიან აქაური თესლის ვაჭრები. ხალხიც იჭვის თვალით უყურებს და ვერც ჩვენ ვურჩევთ ამისთანა უცნობთაგან მის ყიდვას.

ძლიერ კარგი იქნება, რომ სამეურნეო საზოგადოებამ,ან ტფილისის სააბრეშუმო სადგურმა სურვილი აბრეშუმის მოყვანისა უფრო გაუღვიძოს ხალხს, წაახალისოს და, თუ აქვთ ყაჭის თესლი, აცნობონ და მით მისცენ ღონისძიება საიმედო თესლის მოპოებისა.

*** ყვირილა: მოგეხსენებათ, რომ შორაპნის მაზრაში ძალიან ნაკლები მოსავალი იყო შარშან. ხალხს სარჩო დააკლდა და ამის გამო დიდ გაჭირებაში ჩავარდა. ვაჭრებს მოაქვთ სიმინდი გასაყიდად გურიიდამა და ქვემო-იმერეთიდამ და ჰყიდიან ფუთს ვითომ ათ შაურად, მაგრამ წონა-საწყაოში ძალიან ატყუებენ ხალხს. სასურველია, რომ წონა-საწყაოს ყურადღება ექმნას მიქცეული და მოუსავლობით შეწუხებულს ხალხს, ეს ვაგლახი მაინც ააშორონ თავიდამ.

*** ფოთი: აქაურმა ვაჭრებმა არ იქნა და მაინც არ დაიშალეს კვირა-უქმით ვაჭრობა. რამდენი სწერეს გაზეთებში, სასურველია, კვირაში ერთი დღე მაინც ჰქონდეთ თავისუფალი ნოქრებსა და დუქან-ბაზარში მომუშავეებსა, რომ ეკკლესიაში წავიდნენ, პირჯვარი დაიწერონ და მოისმინონ სიტყვა ღვთისაო, მაგრამ ამ საქმეს მაინც არა ეშველა-რა. ბევრგან იქნება ეშველა კიდეც, მაგრამ ჩვენში-კი ისევ ძველებურად არის ვაჭრობა კვირა-უქმე დღეებში. ერთს-ორს საათს-კი დაჰკეტენ და მერე ისევ ჩაღდება აღებ-მიცემა.

*** „Москов. Вѣдомост“-ში დაბეჭდილია: „ამიერ კავკასიის რკინის გზაზედ დიდი ბოროტმოქმედება აღმოჩენილი იმის გამო, რომ დიდ-ძალი ხალხი დადის თურმე უბილეთოდ. იუსტიციის მინისტრომ სასტიკი გამოძიება დაიწყო და ეჭვი არ არის ამ გზაზედ კონტროლი გაძლიერებულ იქმნებაო.

*** 6 მარტს ბაღის ქუჩაზე მარქაროვის სახლთან ორის კვირის დაბადებული მიგდებული ბავშვი იპოვნეს და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს რაჭის მაზრის მცხოვრებელმა ალექსი ბეგაშვილმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ სოფ. ცხომარის მცხოვრებელმა ნესტორ ნინიელაშვილმა ბაზრის ქუჩაზე უმიზეზოდ ზურგში ხანჯლით დამჰკრაო. დაჭრილი სამკურნალოში გაგზავნეს დამნაშავეს დაეძებენ.

*** 7 მარტს მუხრანის ქუჩზე, საჯინიბოში, ნიკოლოზ ჩუტუმოვს ძილში თავს დაეცა სოფ. დიცის მცხოვრებელი გიგო მინდიაშვილი და დანით დასჭრა. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს დამნაშავეს დაეძებენ.

## ხალხური ლექსი

(კახეთში შეკრებილი ზ. ჩხეიძისაგან)

ნეტავ მანატრა, მანატრა
ეს ნატვრა ამიხდინაო;
მებაღის ქალსა მიქებენ
ლოგინში ჩამიწვინაო.
მუკუზნის ღვინით დამარო
ახმეტას დამაძინაო;
გიორგი მეფე ყმათ მოცა
და ქავჭავაძე შინაო.
თორმეტი კოდი კორკოტი
ერთ ჯერათ გამიჩინაო,
ლალის ყურის გალავან
ჯამათ დამიდგა წინაო,
საცა დიდი ჭანდარია
კოვზათა მომცა შინაო.

## კორესპონდენცია

**დიდი ჯიხაიში** (მოწეული ამბავი), 20 თებერვალი. კვრას, 20 თებერვალს აკურთხეს ჩვენი დედათა სკოლა. კურთხევაზედ ასასწრებლად იყვნენ მოწვეულნი—ქუთაისის გუბერნიის საერო სკოლებ: დირექტორი ფ. ზ. ლევიცკი, ბ-ური ბოქაული და სხვანი. ამ დღისავის სკოლის დარბაზი და აივანი საცხოვლოდ იყო მორთული გუნდისა, ხისა და და მაგნოლიის ფოთლებით. მასწავლებელი ქალი, სიყვარულით მიესალმა ახალ მიღებულ ახალგაზდა ქალებს, დააყენა მწკრივად დარბაზში შესაფერ ადგილას და შემდეგ დაარიგა, თუ როგორ უნდა იდგნენ ლოცვის დროს და როგორ წყობით უნ-

---

საკლასო მუშაობაში უნდა იღებდნენ მონაწილეობას ყველანი თვითოეულად, რასაკვირველია, შეუძლებელია, თუ რომ მასწავლებელს არ ეცოდინება კარგად სახელი და გვარი თვითოეულის თავის შაგირდისა. რაც უფრო მასწავლებელი ადრე შეიძენს ყველა აქ აღნიშნულს ცნობებს, ცხადია, უფრო კარგი იქმნება. ამისათვის სჯობია დაიწყოს ამით პირველი სკოლის დღე.

როგორც ყველამ ვიცით, ჩვენი გლეხი ხალხი მეტის მეტად უფაქიზოა. საჭირო არ არის ამის მიზეზების გამოკვლევა, მხოლოდ დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ პირველსავე დღეს მოსწავლენი შემოვლენ სკოლაში დამურულები, ტალახიანები, გაწეწილები; ზოგს ხელებზედ სირსველები გასჩენია; ზოგს მუწუკები; ზოგს ხელი-პირი ერთის კვირის დაუბანელი აქვს და სხ.-და-სხვანი. მასწავლებლის მოვალეობაა პირველ დღიდგანვე მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამ ბავშვების უფაქიზობას და სამუდამოდ განდევნოს სკოლიდგან. ეს შეიძლება შეასრულოს მასწავლებელმა არა მუქარით, ყვირილით, ლანძღვით, დატუქსვით და დაშინებით, არამედ მხოლოდ ცხადის მაგალითების ჩვენებით, დარიგებით, თხოვნით და საკუთარის მონაწილეობის მიღებით ამ საქმეში.

მასწავლებელმა არც ის უნდა დაივიწყოს, რომ ახლად შემოსულნი მოსწავლენი ძალიან მხდალნი და მორცხვნი არიან. ისეც ლაპარაკი ძალიან უძნელდებათ და სკოლაში კიდევ ხომ მთლად მუნჯებად გარდაიქცევიან ხოლმე. ამისათვის მასწავლებელმა უნდა გაამხნევოს ბავშვი და გააბედინოს ლაპარაკი, ხოლო თვითონ ეცადოს, იყოს მუდამ სულგრძელი, მშვიდი; უნდა ერიდოს, როგორც ჰკრას, დაცინვას, გაკილვა-გამასხარებას ბავშვისას, როდესაც რაიმე უხამს საქმეს ჩაიდენენ და სხვანი; უნდა მიაჩვიოს ერთმანერთის შველას; შეაჩვიოს, რომ საკლასო მუშაობაში იღებდეს მონაწილეობას ყველა იმათგანი.—მასწავლებელი გამოიკითხავს შემდეგ, თუ ვინ რა ლოცვა იცის? წააკითხებს ლოცვას მოსწავლეს. აქ შეიძლება, რომ ლოცვა იყოს ძალიან გადასხვაფერებული, მაგრამ არაოდეს არავის არა ჰმართებს დაცინვა და ხარხარი. წინააღმდეგ, საჭიროა, რომ მასწავლებელმა წყნარად შეაყენოს მაშინვე დამცინარი, უკეთუ აღმოჩნდა ამისთანა და ჰკითხოს, თუ „რასა ვკითხულობთ“? „ლოცვას“. „მაშ შეიძლება ლოცვის დროს სიცილი“? თავ-და-პირველიდგანვე მასწავლებელი, ეცდება შეასწავლოს ყველა მოსწავლეს კარგად ერთი რომელიმე ლოცვა, რომლითაც დაიწყებენ შემდეგში ყოველ საქმეს. მასწავლებელი ყოველ შემთხვევაში, უნდა ერიდოს ყვირილს, მუქარას, ჯავრობას; მთლად წაახდენს ამით საქმეს! რომ გააბედვინოს ბავშვებს ლაპარაკი, ამოადგმევინოს-გაურანდოს ენა, მასწავლებელი გარდასცემს, ადვილ გასაგების ენით, რაიმე საინტერესო მოთხრობას, რომელსაც გაამეორებინებს ჯერ თამამ ყმაწვილს და შემდეგ სხვებს. აქ ყველას აქვს ადგილი, ზლაპარიც-კი კარგია, მხოლოდ ეს-კი უნდა ახსოვდეს და ჰქონდეს მუდამ სახეში მასწავლებელს, რომ ყმაწვილი მოელოდება ჩვენგან რაიმე საძნელოს, იმისთანა რასმე, რომელიც იმას ჯერ არსად გაუგონია. ამისათვის მასწავლებელს ჰმართებს გააუქმოს ამ ნაირი აზრი ბავშვისა, არ მისცეს მიზეზი დამკვიდრდეს ამ აზრზედ, პირიქით, უნდა დაარწმუნოს, რომ იმას შემცდარი აზრი ჰქონია სწავლის შესახებ.

სკოლა არის იგივე საზოგადოება, სადაც დადგენებულია საკუთარი წესწყობილება, რჯული, კანონება, სამართალი, უფლება და მოვალეობა. მასწავლებელმა საჭიროა პირველიდგანვე მიაჩვიოს ბავშვები სკოლის კეთილ წეს-წყობილებას, განწავლოს და განავითაროს ისინი საჭირო სადისციპლინო ცნობებით, მაგალითად: თუ სად და როგორ უნდა იჯდეს ბავშვი, სად უნდა დააწყოს თავისი წიგნები, რვეულები, საწერი პატარა დაფა და საზოგადოდ, როგორ უნდა მოიქცეს სწავლის და სხვა დროს სკოლაში. უსათუოდ საჭიროა აგრეთვე დააწესოს მასწავლებელმა, რომ თვითოეულს მოსწავლეს ჰქონდეს დაჭერილი ის ალაგი, რომელიც დაენიშნა მასწავლებელისაგან; რომ მიუგებდეს კითხვაზედ მხოლოდ ის, ვისაც ჰკითხავს მასწავლებელი, რომ დანარჩენი მოსწავლენი უსმენდნენ ლაპარაკს, როგორადაც მასწავლებლისას, აგრეთვე მოსწავლისას და ნიშნით (მასწავლებლის თითის აშვერით) გამოაცხადებ-

და მივიდნენ მღვდელთან ჯვარზედ სამთხვევად. თორმეტი საათი იქნებოდა, როდესაც შეუდგნენ კურთხევას—პარაკლისის გადახდას. გალობდნენ რუსულადვე მღვდლის ბესარიონ ვაშაკიძის ლოტბარობით ორკლასიან სასწავლებლის შეგირდები. ახლად მიღებული სოფლის პაწია ცუგრუმელები გაშტერებით იცქირებოდნენ აქეთ-იქით, თითქო სურდათ შეეტყოთ, რას ნიშნავდა ქართულად ის სიტყვები, რომლებიც ისმოდა ლოცვის დროს. მასწავლებელმა შენიშნა ესა და უთხრა—„პირჯვარი დაიწერეთ, თქვენთვისა ლოცულობენო“. მღვდელმა ასხურა აიაზმით სკოლის შენობა, მოიხსენა სამეფო სახლი, უწმიდესი სინოდი, მასწავლებელნი და მოსწავლენი და დაასრულა მრავალ-ჟამიერით. ბ-ნმა დირექტორმა საზოგადოებას საკმაო გრძელისა და გრძნობიერის სიტყვით მიჰმართა, და ხალხს აუხსნა დედათა სკოლის მნიშვნელობა. სხვათა შორის, ბ-ნმა დირექტორმა სთქვა, რომ მოხარული ვარ, ამ გარემოების გამოვო, გამოვეშურე კურთხევაზე მისთვის, რომ თქვენთან ერთად მივიღო მონაწილეობა თქვენს ბედნიერებაშიო. ჩემის ათის წლის სამსახურის განმავლობაში ეს მეორედ ვხედავ, რომ არსდება დედათა სკოლაო; იმედი მაქვს და დარწმუნებულიც ვარ, რომ ეს სკოლა, ვაჟების სკოლაზე თუ უმეტესს არა, ნაკლებს სარგებლობას მაინც არ მოგიტანთო. შემდეგ განმარტა ის მნიშვნელობა, რომელიც ქალსა აქვს ოჯახში. ბოლოს მიჰმართა თ-დს ალ. მ-ძეს ჩხეიძეს, როგორც სკოლის დამაარსებელს და გამოუცხადა გულითადი მადლობა სწავლა-განათლების საქმეში მონაწილეობისათვის. თავისი ლაპარაკი ასე დაასრულა: „მე ჩემის მხრივ გაგიწევთ შუამდგომლობას მზრუნველთან, რომ თქვენს სკოლას მიეცეს ყოველ-წლობით სამასი მანეთი“. საზოგადოებამ გულითადი მადლობა გამოუცხადა. სასიამოვნო იყო ის წუთი, როდესაც მასწავლებელმა დაარიგა მოწაფენი, გამოემშვიდობა ალერსით და უთხრა, ხვალ დილით მოდით კიდევაო. ბავშვებს არ უნდოდათ თითქო შინ წასვლა და მასწავლებლის მოშორება. ფეხები უკანა რჩებოდათ და, როცა შინ მოდიოდნენ, მაშინაც-კი უკან-უკან იხედებოდნენ სკოლისაკენ, თითქოს რაღაც დარჩენიათ იქაო. საზოგადოებამ დიდი მადლობა შესწირა მასწავლებელს ქალს, რომელმაც უსასყიდლოდ იტვირთა მძიმე მოვალეობა პირველ-დასაწყისის სკოლის გამძღოლისა.

ნაშუადღევის ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც გაიმართა სუფრა იმავე სკოლის დარბაზში; თუმცა რამდენიმე საპატიონი, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო არ დასწრებიან, მაგრამ სადილზე სტუმრები საკმაოდ იყვნენ. სხვათა შორის იყვნენ დიდჯიხაიშის საზოგადოების წარმომადგენელნი, ხუთიოდე გლეხი. სადილზე ადღეგრძელეს ხელმწიფე იმპერატორი, იგალობეს: «ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა»! ადღეგრძელეს მინისტრი საერო განათლებისა, შემდეგ დირექტორი ფ. ზ. ლევიცკი, რომელსაც კულაშის სოფლის მასწავლებელმა კ. მკურნალმა უთხრა შესაფერი სიტყვა, ადღეგრძელეს თავადი ალექსანდრე მერაბის ძე ჩხეიძე და უთხრეს გრძნობით სავსე სიტყვები.

თ. ალექსანდრე ჩხეიძეს მიუღია განათლება უნივერსიტეტში. გახდა რა მემამულე, მამის სიკვდილის შემდეგ დიდს მამულს მოუმატა ერთი იმდენი სიმდიდრე, რამდენიც მამისაგან ჰქონდა დატოვებული. ამ სიმდიდრეში მყოფს არ დაჰვიწყებია სოფლის საზოგადოებაცა, რომლის ჭირი და ლხინი კარგად ესმოდა ეხმარებოდა ერთ კლასიან სკოლას, ხოლო როდესაც მკვიდრნი არ კმაყოფილდებოდნენ ერთ კლასიან სკოლაში მიღებულის სწავლით ძველი სკოლა გადააკეთეს ორ-კლასიანად, რისთვისაც საჭირო შეიქმნა, ძველის შენობის გაგანიერება, რომელიც იკისრა თავად ალექსანდრე ჩხეიძემ; მასთან იყიდა სკოლის ეზოს მოსამატებლად ორი ქცევა ადგილი დ შესწირა საზოგადოებას. სულ ეს გადაკეთება და სხვა წვრილმანი ხარჯი დაუჯდა არა ნაკლებ ორი ათასის მანეთისა. დღეს დღეობით ამ ორ-კლასიან სასწავლებელში ორასი ყმაწვილი სწავლობს. ჰხედავდა რა, როგორ კარგად მიდიოდა ვაჟების სწავლა-განათლების საქმე, გული სწყდებოდა ქალების უსწავლელობისათვის. შარშან ზაფხულს როდესაც პირველად ჩამოვარდა ლაპარაკი დედათა-სკოლის დაარსების თაობაზედ, თავის მხრივ შესწირა ოთხასი მანეთი ამ სკოლის შენობისათვის. მის შემოწირულებისავე მეოხებით ავიშენეთ სერგეთის ეკკლესია.

სადილმა მეტად მხიარულად ჩაიარა და გაგრძელდა სალამოს 7 საათამდე. რადგან შენობას 400 მან., რომელიც თ. ჩხეიძემ შესწირა, არ ეყო და კიდევ დასჭირდა 200 მ., ეს ხარჯი ბ-ნ იუსტინე მ. კანდელაკმა და დავით ბეჟანის ძემ დევიძემ გაიღეს, რისთვისაც დიდის მადლობის ღირსნი არიან. ჩვენს ახალ სკოლასთან დაარსდა სამზრუნველო საბჭო, რომლის თავმჯდომარეთ არის თავ. ალექსანდრე გურამიშვილის ასული, წევრებათ ალექსანდრე ჩხეიძე და იუსტინე კანდელაკი, რომელსაც დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის სკოლის აშენებაში. მადლობელნი ვართ მაზრის უფროსისაც, თ. ანტონ ჩიქოვანისა, რომელიც დაჰპირდა სკოლას შემწეობას სხვა და სხვა წყაროებიდგან; პირველში შეგვპირდა ხუთის თუმნიდგან ათ თუმნამდე და შემდეგში-კი ყოველ წლობით—15 თუმნამდე.

დიდი-ჯიხაიშელი

---

**ს. ტყვიავი** (გორის მაზრა, პატარა ლიახვის ხეობა), 6 მარტს. ეს ერთი კვირა იქნება, რაც მზიანი დღეები დადგა ჩვენსკენ. თებერვლის მიწურულებში ერთის ალაბის სიმაღლეზედ დადებული თოვლი სრულებით გააწყალა ცხარე მზემ. კორდები და ვენახის ნაპირი ველები ალაგ-ალაგ შეიმოსა მწვანით და ყვავილებითა. მდინარეებს შემოეცალა ყინულები და წყალმა თავისუფლად დაიწყო დენა. ძლივს მოგვშორდა თავის მომაბეზრებელი თოვლი და გაზაფხულის სუნი დაგვიტრიალა თბილმა მზემ. მაგრამ ამ გაჭიანურებულის ზამთრის სუსხი არ განელებულა სოფელში: სიცივემ, რომელიც მძვინვარებდა ამ ზამთარში ჩვენსკენ, თავისი კვალი დააჩნია მცხოვრებლებს: სურდო, ხველა და ციება დღესაც გახშირებულია.

საქონელს დაერთ რაღაც ჭირი, რომელსაც «ბედნიერს» უწოდებს ხალხი, და მუსრი აავლო. კარგია კიდევ, ხალხს ამ სტკივრით დახოცილის საქონლის ხორცის ჭამა დაუშალეს ზოგიერთმა თორემ გაუგებარი ხალხი მზად იყო, ხორცი საჭმელად გაეყიდა და მით, ვინ იცის, რა ავადმყოფობა არ გაჩნდებოდა.

კვლავ ამ დროს ქუშაობა გაჩაღებული ყოფილა. ვენახებს თითქმის მორჩენილნიც იყვნენ და გაზაფხულის გუთანი კარგად გამართვით ჰხნამდა ხოლმე, მაგრამ ეხლი ვენახში და მინდორში არც-კი გაისვლება, ისეთი ტალახებია. გაწყალებულმა თოვლმა გზები ისრე აატალახა, რომ დილიჟანსები და მიმავალი ურმები ტაატით ძლივს დადიან გორის გზა-ტკეცილზედ. გორიდგან ცხინვალამდის მიმავალ დილიჟანსებს პატრონებმა ცხენები, თუმცა ერთი ორად ჩაუბეს, მაგრამ ბევრს ვერას გახდნენ. ტალახი იქამდის უჭირვებს საქმეს, რომ ტყვიავამდის გორიდამ ბინდისას ამოდის და მთელი 8 ვერსი ტყვიავიდამ ცხინვალამდის ბნელაში მოგზაურობს ხალხი.

ვაზი აქეთკენ ღვთის მადლით არ არის ძლიერ დაზიანებული, როგორც მოველოდით; აქა იქა თუ გამხმარა, თორემ სხვა სრულიად საღად გადურჩა საკმაოდ სუსხიანს ზამთარს.

ხალხი ძალიან შეწუხებულია სახელმწიფო ბეგარით და გარდასახადით უწინ მოკრეფილი და, საცა ჯერ არას, არ წარდგენილი ფოსტის ფული გამოააშკარავა ახალ დაწესებულმა სოფლის სამმართველომ და ხალხს, რამდენისამე წლის დარჩენილი სახელმწიფო ხარჯი (ნედოიმკები) სულ ერთბაშად დააწვა კისერზედ; ზედ დაემატათ წრევანდელი ხარჯი, ჩაფრისა და მამასახლისის ფული და ერთს ვაი-ვაგლახში არიან. ბევრის გლეხ კაცისაგან გამოჰყავთ უკანასკნელი ხარი, და სახაზინო ვალში უყიდიან...

ოცს თებერვალს ქ. გორში ყრილობა იყო მერუეების „მირაბების“ არჩევანების შესახებ მდ. პატარა ლიახვისა და მეჯუდის ხეობაზედ. აქაურმა საზოგადოებამ სრული უარი განაცხადა მერუეების არჩევანებზედ, რადგანაც წყალით ეს ხეობანი ისე მდიდარნი არიან, რომ აქაურებისათვის მერუეების ხარჯი სრულიად მეტს ხარჯად უნდა ჩაითვალოს მაგრამ, რადგანაც მერუეების არჩევანები უკვე გადაწყვეტილია უმაღლესის მთავრობისაგან, საზოგადოების უარმა უნაყოფოდ ჩაიარა. მაზრის უფროსმა არჩევნები გადასდო 20 მარტისათვის, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ინჟენერი არ მოსულიყო და 20 მარტისათვის უეჭველად უნდა ამოირჩიოთო მირაბები. ყრილობა უკმაყოფილოდ დაიშალა და თვითონვე გარდასწყვიტა არამცა და არამც მერუეები არ ვინდომოთო, მეტადრე მდ. პატარა ლიახვის ხეველებშიო. ვნახოთ ბოლოს რა იქნება...

ლ. კეცხოველი

1894 წელს
6 მარტს.

---

**ჭოროხის ხეობა**, 25 თებერვალი. არ იქმნა და არ გვეღირსა ჯერ კიდევ თბილი დარები. თუმცა სადაც არის ეს თვეც თავდება და იმედიცა გვქონდა ამ თვეში მაინც არის დადგებოდა ცოტა სითბო, როგორც წარსულს წლებში, მაგრამ ეს იმედიც გაგვიქარწყლდა. სხვა დროს თებერვლის დამლევს, ძალიანი სითბო იცოდა და საქონელსაც დღისით მაინც შაეძლო ცოტა რამ მოეხრა ტყეში, მაგრამ ჯერ კიდევ დიდის სიცივის გამო საქონელს გარედ ვეღარ უშვებენ, და შინ საჭმელი არა აქვს, რის გამოც დიდს გაჭირვებაში არიან ჩავარდნილნი აქაურები, საქონლის საკვების უქონლობის გამო. ბევრი კიდევაც გამოესალმა ერთადერთს სანუგეშო ძროხას, რომელიც პირს უხსნილებდა ქალ-ბალანას ერბო-ყველითა და რძით.

თითქმის დღე არ გაივლის, რომ თოვლი-და წვიმა არ იყოს და ცივი ქარი არა ჰქროდეს. ბათუმ არტვინის გზაზედ იმისთანა ტალახებია, რომ კაი ცხენი უნდა, რომ უხიფათოდ გაატანოს, მერე ისიც თუ დატვირთულია. ამისთანა ტალახების წყალობით, წარსულს კვირაში იმის მაგიერად, რომ ფოსტა ბათუმიდგან გამოსული დილის 6 საათზე სალამოს 6 საათზე ბორჩხაში მოსულიყო, 11 საათზედ ძლივს მოაწია იქა და ისიც დიდის ვაივაგლახით. ფოსტის ცხენების იჯარადარს, იმისთანა ცხენებიც არ ჰყავს, როგორიც შეჰფერის და არის საჭირო ამისთანა გზებისთვის, თუმცა ქირას ძალიან დიდს იღებს. მერე ამისთანა ტალახიან გზაზედ ცხრასა და ათს ფუთს ჰკიდებენ ერთს ცხენზედ, რომელსაც ძალიან უჭირდება, მისთანა გზაზე ისეთის ტვირთის თავისუფლათ ტარება 95 ვერსტის მანძილზე. სწორეთ დიდი საცოდაობაა და შესაბრალისი ის ცხენი, რომელიც ამ სიმძიმე ტვირთს ქვეშ იმყოფება. მგონია, კანონით აღკრძალულია, 6 ფუთზედ მეტი აჰკიდონ ცხენს ტვირთი, მაგრამ ამ კანონს ჯერ აქეთკენ ყურს არავინ უგდებს. მერე ფოსტის ტარება ღამით ამ გზებზე მოუხერხებელია და საშიში, რადგან—აჭარის

---

დნენ თავის სურვილს პასუხის მიგებისათვის, ან იმ შემთხვევაში, როდესაც მასწავლებელი, საზოგადოდ მიმართულის კითხვით, ითხოვს ამას, ან კიდევ როცა მოსწავლეს რაიმე შეცდომა მოუვიდა პასუხის ან გაკვეთილის მიგების დროს. რათა საკლასო სამუშაოში იღებდეს მონაწილეობას ყველა მათგანი, მასწავლებელი მიმართავს კითხვებით ხან ერთს ხან მეორეს, ხან მესამეს. მეტის-მეტ ფიცხთ მათგანს მასწავლებელი, ვითა კარგი მხედარი, შეიკავებს; გაუბედავს—გაამხნევებს და წაახალისებს, დაბნეულს და დაფანტულს მოიბრუნებს და დააყენებს საქმეზედ და საკითხავ კითხვაზედ. ამასთანავე საჭიროა, რომ შეაჩვიოს მასწავლებელმა მოსწავლენი დალაგებულს, გარკვეულს და მკაფიო ლაპარაკს. ზოგს მოსწავლეს აქვს ჩვეულებად სხაპასხუპით ლაპარაკი, ზოგს ღეჭვით დ გაგრძელებით—გალობის კილოზე; ზოგი ლაპარაკობს მეტის-მეტად მაღლა, ზოგი-კი მეტის-მეტად დაბლა. ყველა აღნიშნულის ნაკლულოვანებისაგან განთავისუფლდებიან ბავშვები თავ-და-პირველიდგანვე ცხადის მაგალითის ჩვენებით მასწავლებლის მხრივ.

ხოლო განსაკუთრებული ყურადღება მასწავლებელისა იმას უნდა ჰქონდეს მიქცეული, რომ გაუღვიძოს ბავშვს ხალისი ცნობის მოყვარეობისა, აღუძრას სურვილი თვით მოქმედებისა, რომელსაც, როგორათაც ყველგან, აქვს, კომენსკის ჰაზრით, დიდი მნიშვნელობა. რომელი მასწავლებელიც არა ცდილობს აღუძრას ბავშვს ამ ნაირად წყურვილი ცოდნის მოპოებისა და განვითარებისა, ის ვერაოდეს ვერ განავითარებს ყმაწვილებს რადგანაც ამ შემთხვევაში სწავლა შესრულდება ძალ-დატანებით და არა თავისუფლად, თანახმად ბავშვის ბუნების მოთხოვნილებისა. მივხედოთ და მივბაძოთ აქაც ბუნებას. თვით უგემრიელესი და საუკეთესოდ მომზადებული საჭმელი, ძალათ პირში ჩადებული, როდესაც კაცს არა ჰშიან, საზიზღარია და გულის ასარევი, მაგრამ, როდესაც უნდა კაცს ჭამა, უგემური საჭმელიც-კი გემრიელად ეჩვენება დაგემრიელი ხომ კიდევ, რა თქმა უნდა, კარგია და კარგი. ესევეა სწავლის საქმეც. ამისთვის სრულებით მართლად იტყვის კვინტილიანი: „სწავლა არის დამყარებული ცნობის-მოყვარეობაზედ, რომლის ძალათი აღძვრა შეუძლებელია“. ასეთივე მნიშვნელობა აქვს ისოკრატის ნათქვამს: ვინც ცნობის მოყვარეა, ის ბევრის მცოდნე შეიქმნება, რადგანაც წყურვილი სწავლის მოპოებისა უფრო-და-უფრო შორს და შორს გაიტყუებს და, რაც უფრო ბევრს ცოდნას შეიძენს, იმდენად უფრო გაენება ნდომა სწავლის შესრულების და განვითარებისა. ახლა ვიკითხოთ, რით შეიძლებ აღუძრას ბავშვს სურვილი ცნობის-მოყვარეობისა? შესაბამ მასალაზედ ბავშვების აღზრდით. მოვიგონოთ, თუ რა იზიდავს ცნობის-მოყვარე ბავშვის ყურადღებას? თავ-და პირველად ბავშვს მოსწონს და სიამოვნებით ისმენს არაკებს, პატარ-პატარა საინტერესო მოთხრობებს, იგავებს, ლექსებს, გამოცანებს, ჩქარსათქმელებს და სხვ. ესენი, მაშასადამე, შეადგენენ საუკეთესო პირველ-დაწყებითის სწავლის მასალას. ჩვენ ბევრჯელ გაგვიგონია სამდურავი ბ-ნ გოგებაშვილის „დედა-ენის შესახებ, რომ იმაში ღირსად პატივ-ცემულს ავტორი დიდ ალაგს უთმობს საყმაწვილო ამბებს, არაკებს, მოთხრობებს, ლექსებს, გამოცანებს და სხვ. ამასთან ერთი რიგი პედაგოგებისა ამტკიცებს, რომ პირველ დაწყებითის საკითხავის წიგნის მასალას უნდა შეადგენდეს ვითომც „ლოცვები და ზნეობრივი სტატიები, ხოლო მეორე წიგნისას აღწერილობისა და ბუნების მეცნიერებისა, მაგრამ, როგორც პირველთ, ისე მეორეთ, არ მიუქცევიათ ყურადღება ბავშვის ბუნების მოთხოვნილებისათვის; ბ-ნ გოგებაშვილს-კი ნამდვილად უპოვნია ბავშვის ცხოველ-მყოფელი ძარღვი, შეუტყვია და კარგად შეუგნია მისის სულის თვისებანი: სიხარული და სიამოვნება, დარდი და მწუხარება, და არ განუკიცხავს, არ უარუყვია იგი, არამედ უპოვნია მისთვის ადგილი პირველ-დაწყებით სწავლის საქმეში და მოუხმარებია, როგორადაც ერთი საუკეთესო მასალა განსაღვიძებლად მისის ცნობის-მოყვარეობისა.

ასე და ამ ნაირად, ჯერ ყმაწვილი უნდა შევამზადოთ სწავლისათვის, გავუღვიძოთ სურვილი ცნობის-მოყვარეობისა, აღუძრათ ხალისი სწავლისა და შემდეგ დავაწყებინოთ სისტემატიური სწავლა.

ა. ნატროშვილი

წყლიდგან დაწყებული ბორჩხამდის გზა თითქმის სულ ჭოროხის პირად მოდის, ერთი ფეხი რომ გადუცდეს ცხენს გზიდგან, მაშინვე ფოსტა ცხენითურთ ჭოროხში ამოჰყოფს თავს.

ამ ზამთარში და ამ ბოლო დროსაც აქ ძალიან გავრცელებულია, სურდო-ხველა და ინფლუენცია, რომელიც უმეტესად ბავშვებსა და მოხუცებულებს ასალმებს ამ დუნიას. ინფლუენცას აქაურები „ჰავა ჩალღუნს.“ ეძახიან. სახლი არ მოიპოვება, რომ ამ ჰავა ჩალღუნით სამი და ოთხი არ იწვეს ავადმყოფი. ამათთვის არც ექიმია და არც ფერშალი. ესენიც რომ ახლოს იყოს, მაინც იქაური ქართველი მაჰმადიანი იმათ არ მიჰმართავს, რადგან ეშინიანთ იმათის წამლისა, და იმათს მოვალეობას ხოჯა-მოლები ასრულებენ. ესენი გაიძახიან, თუ დღე-დალეული აქვს, ვერც ექიმი უშველის და ვერცა იმათი წამლებიო. რაც უნდა შეძლებული კაცი იყოს და მძიმე ავადმყოფი ჰყავდეს, ის ექიმთან არ მივა და თავისს დარდს იმას არ ეტყვის. სამის დღის სავალზედ წავა და მონახავს სახელ-განთქმულს მოლას, რომელიც, ბლომად მოიპოვება ოსმალოდგან გადმოსულთა შორის. მოიყვანენ მოლას, მოუსვამენ ავადმყოფს გვერდზედ და უნდა უკითხოს სხვა-და-სხვა ლოცვები, რაც უფრო სასარგებლოა ავადმყოფისთვის, და სანამდის ავად არის არ ჰშორდება. თუმცა რომ იმის კითხვით და შემწეობით მოიკეთა ავადმყოფმა, მოლა კარგს ფასს იღებს და ხმაც იმისთანა ექნება სოფელში, რომ თუ ვინმეს თავი ასტკივდა, იმ მოლის ხელის გულზედ დაისმენ და ისე სასოებით დაჰყავთ ერთის ავადმყოფიდგან მეორესთან, სოფლიდგან სოფელში. ვინიცობაა ვერ დაიხსნა ამ სახელ-გათქმულ მოლის ლოცვებმა სიკვდილის ხელიდგან ავადმყოფი ის მაინც თავის ჯაფის ფასს მიიღებს. წარმოიდგინეთ მერე თეთრჩალმიანი და პატარა წვერა თუ ვინმე გადმოვიდა აქეთ ოსმალოდგან ჩვენთვის ყველა ხოჯა და ეფენდი ჰხდება და მთელი სოფელი პატივსა სცემს. ავი და კარგი იმათ ხელშია და როგორც იმათი სურვილი და ნებაა, ისე წაღმა-უკუღმა ატრიალებენ ფუხრის ბედ-იღბალს.

მკითხავი—მარჩიელები არ იციან და არც ენდობიან იმათს მკითხაობას, რადგან ეს ხელობაც მოლების ხელშია.

ი. ჯაიანი

სოფ. ბორჩხა.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ქ-ნს პოლოვცევისას, რომელიც მოწყალების დად იყო უკანასკნელს რუსეთ-ოსმალეთის ომში და ამ ჟამად იტალიაში დასახლებული, სადაც კათოლიკეთა სარწმუნოება მიუღია, ამას წინად საჯარო ლექცია წაუკითხავს პიზაში „სოციალურ საგნის“ შესახებ. პიზანის გაზეთები ამბობენ, რომ ქ-ნი პოლოვცევისა თუმცა არ თანაუგრძნობს აწინდელ სოციალისტების და ანარხისტების აზრს, მაგრამ მაინც კმაყოფილი არ არის აწინდელის ცხოვრების წეს-წყობილებითაო. იგი იმ აზრისაა, რომ ევროპის შეძლებულნი წოდებანი ყურადღებას არ აქცევენ გაჭირვებასა და უბადრუკობას მუშა ხალხისას და აი, კიდეც ამის გამოა გამწვავებული აწინდელი ცხოვრებაო. პიზანის გაზეთებს დიდად მოსწონს ქ-ნ პოლოვცევის მიერ წაკითხული ლექცია და ამბობენ, რომ მან ამ ლექციაში დიდი ცოდნა და გაბედულობა გამოიჩინა აწინდელის ცხოვრების კითარებისაო.

## გასართობი

—

ერთ ძუნწს გერმანელ პროფესორს, რომელიც ბუნების მეტყველების ისტორიას კითხულობდა, საშინლად სძულდა გარეშე მსმენელნი მისის ლექციებისა, რადგანაც ესენი ფულს არ იხდიდნენ. ერთხელ, როცა დარბაზში შევიდა, დაინახა ვიღაც უცნობი, რომელიც კედელს მიჰყუდებოდა და ისე იდგა. პროფესორმა გაიარ-გამოიარა რამდენჯერმე ოთახში, მივიდა ამ უცნობთან და სთქვა:

— ბატონებო, მე ვირზედ შევდექი... არ შეიძლება დაბძანდეთ, ბატონო?

— დიდად გმადლობთ, მიუგო უცნობმა გულგრილად: მე ფეხ-მდგომელსაც შემიძლიან ვირის ყურის გდებაო.

—

ლონდონში ახალწლის მეორე დღეს გამოცხადებული იყო, რომ ამა-და ამ ქუჩაში, ამა და ამ ნომერში, შვიდ საათზედ შეიძლება ცოცხალი კაცის ნახვა, რომელსაც იმდენი თვალი აქვს, რამდენიც დღე წელიწადსაო, ფასი ერთი მანეთი იყო დანიშნული. სწორედ შვიდს საათზედ მრავალნი ცნობის მოყვარენი შეიყარნენ ამ უცნაურის არსების სანახავად. მაყურებელი ხალხი ძლივს ეტეოდა კარგა დიდს დარბაზში. ფარდა აიხადა და სცენაზედ გამოვიდა ჩვეულებრივი ორთვალა ადამიანი. ამას არავინ მოელოდა და ხმაურობა შეიქმნა; ხალხი თხოულობდა, ის კაცი გამოვიდეს, რომელიც განცხადებაშია მოხსენებულიო. უცნობი კაცი წინ წამოდგა სცენაზედ და თამამად სთქვა:

— პატივცემულო ბატონებო, მე აღვასრულე, რასაც დაგპირდით. თქვენ გნებავდათ გენახათ ის კაცი, რომელსაც იმდენი თვალი აქვს, რამდენიც დღე წელიწადს. დღეს ორია იანვრისა და რადგან ამ წელს ჯერ ორის დღის მეტი არა აქვს, მეც მხოლოდ ორი თვალი მაქვსო.

—

ოსმალელმა დაინახა, რომ ვიღასაც დიდის ყოფით ჰმარხავდნენ და სთქვა: „არ მესმის ამდენი ზარების რეკვა და დიდი მგლოვიარობა რა საჭიროა იმ კაცისთვის, რომელიც აღარც ხედავს და რომელსაც აღარც არა ესმისრაო?“

## გამოსადეგი ცნობა

—

ყავის მოყვარულთა საყურადღებოდ. ერთი ფრანგული ჟურნალი სწერს, რომ ყავა უნდა მოიხარშოს დაწმენდილის წყალითაო. ასე მოხარშული ყავა უფრო სასიამოვნო გემოსია და მშვენიერის სუნისა. ამის მიზეზი ის არის, რომ მდინარის და მეტადრე წყაროს წყალში ურევია მრავალი სხვა-და-სხვა ლითონის ნაწილები და რომელიც ტანინის გემოს ართმევს ყავას, მაშინ როდესაც დაწმენდილს წყალში ტანინი რჩება; რის გამოც ყავა მშვენიერი გემოსი კეთდება და მარგებელიც არის ჯანისათვის.

# დეპეშა

7 მარტი

**პეტერბურგი.** დღეს სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრებამ მოიწონა პროექტი სახელმწიფო ქონებათა ð მეურნეობის სამინისტროს დაწესებისა.

დღეიდან დაიწყო თავის თანამდებობის აღსრულება სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ამხანაგმა ნარიშკინმა.

პირველ მარტის ტირაჟში ხუთას მანეთიანი მოგებანი ხვდა შემდეგ ბილეთებს:

1: 7247, 9883.
2: 2635, 6041, 7261, 10814, 11942, 15450.
3: 1876, 4479, 4506, 9022, 9394, 17021, 19349.
4: 3564, 6923, 13028, 15624, 18868, 19276.
5: 3008, 3913, 4500, 5075, 8805, 12414.
6: 1402, 1720, 3246, 14819, 15445, 16340, 18900.
7: 1876, 3139, 6852, 15885, 18999.
8: 6370, 12081, 14035, 14731, 15325.
9: 3188, 7270, 8161, 11050, 12823, 18544.
10: 3250, 7056, 7767, 7905, 10522, 19070.
11: 5175, 5948, 9010, 12837, 18187.
12: 432, 1895, 6255, 9515, 12203, 18816, 19628.
13: 4481, 4790, 13457, 15129, 16006.
14: 730, 1589, 3118, 4149, 9595, 18190.
15: 916, 7385, 10041, 14657, 19892.
16: 3502, 3834, 6757, 11281, 12555, 19175.
17: 5612, 7552, 9380, 10623, 12031, 13056.
18: 2231, 3155, 6997, 7301, 8598, 9,214.
19: 4840, 6697, 11843, 16445, 48069, 19481.
20: 22, 9287, 9969, 10173, 10807, 15151, 19735.
21: 95, 2165, 4603, 9045, 9243, 11922, 19839.
22: 6908, 16684
23: 6332, 13976.
24: 1290, 2339, 3001, 4172, 4827, 6520, 17456.
25: 3186, 1095, 12305, 16228, 16479, 18377, 19828.
26: 298, 6507, 7600, 12398, 12438, 13556, 18032.
27: 659, 752, 8348, 9064, 9367, 13010, 13413, 15532.
28: 18573.
29: 217, 241, 5682, 14457, 14775.
30: 1847, 960, 10177.
31: 4028, 258, 5723, 7348, 11750, 11825, 12337, 13096, 15844.
32: 1874, 1000, 13180, 15610, 18412.
33: 1397, 486, 9882, 11311, 15364, 18579 19584.
34: 9763, 10064, 10403, 15662, 19138
35: 868, 765, 8113.
36: 3114, 3529, 8947, 9203, 11143, 16333 16766.
37: 117, 20, 4882, 7753.
38: 6914, 1497, 13653, 16587, 18781.
39: 8499, 0485, 14453.
40: 350, 80, 12327, 13141, 13865, 13877 17033.
41: 2636, 945, 11256, 14587, 14854, 16803
42: 7857, 313, 13154, 17362.
43: 2246, 3930, 18391.
44: 13195, 17891, 19389.
45: 5911, 7292, 17269.
46: 1448, 3044, 4891, 19916.
47: 2180, 13947.
48: 1968, 2911, 3971, 6398, 9758, 10991.
49: 8635, 16621, 18888, 19595,
50: 350, 7019, 7111, 16104, 18226, 18447.

ტირაჟში გაბათილებული ბილეთები:

3,915, 10,470, 5,943, 8,304, 13,394, 15,583, 126, 19,489, 15,873, 18,590, 12,632 19,441, 14,637, 14,746, 14,796, 6,070, 14,912, 17,777, 14,158, 18,679, 8,133, 10,578, 1,372, 4,461, 8,317, 439, 15,095, 16,795, 1,720, 15,204 1,956, 14,956, 9,718, 13,563, 18,799, 9,365, 15,610, 17,090, 12,315, 18,865, 14,157, 16,500, 9,607, 16,784, 1,864, 16,074, 3,094, 1,722, 15,962, 11,052, 18,095, 15,664, 9,433, 3,852, 14,362, 12, 936, 12,923, 1,587, 8,792, 534, 19,761, 6,791, 269, 4,493, 6,387, 16,964, 5,433, 7,457, 5,159, 14,535, 4,811, 19,991, 8,074, 10,665, 2,605, 19,142, 16,062, 7,643, 1,621, 10,381, 18,435, 6,150, 17,315, 13,547, 4,227, 1,630, 17,272, 5,115, 1,351, 6,247, 11,142, 16,182, 1,588, 2,968, 290, 13,916, 13,306, 8,241, 4,969, 19,650, 6,886, 1,592.

## პეტერბურგის ბირჟა, 4 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 151 | 154 | 7,51 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 243½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221¼ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 193 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | — ,, | 101⅜ |
| 5% . . . . . . | 98¼ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — | — ,, | 101⅜ |
| 5%. . . . . . . | 98¼ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¼ | ,, | — ,, |


# განცხადებანი

გაუფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას!!

**საპონი**

პროვიზორი

**ა. მ. ოსტროუმოვისა**

სრულიად ჰკარგავს თავის თებოს, თმას ზდის და ნამდვილად აყენებს თმის ჩამოსვლას.

ფასი ერთ ნაჭრისა 30 კაპ. მოდიდოები 50 კაპ. რომ არ მოსტყუვდეთ მოითხოვეთ ნამდვილი საპონი, რომელსაც იარლიკზედ აქვს მთავრობისაგან დამტკიცებული მარკა № 3374.

ისყიდება ყველგან!

საწყობი: მოსკოვი, ლიალინის ვიწრო ქუჩა, საკუთარი სახლი.

(20—6)

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: საქირურგიო ვენერიული და სიფილისი.

უ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**თესლეულობით ვაჭრობა**

ბ. გ. ლარშესი

მიხეილის ორ-ხიდთა შუა, სახლი ფარსადანოვისა, მაღაზია № 47.

მიიღე

**ახალი თესლეული**

ბოსტნეულის, ყვავილეულისა და ბაღახეულისა.

კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. (15—7)

**50 руб.** и больше **награды** получитъ тотъ, кто немедленно дастъ самыя точныя свѣдѣнія о послѣднемъ мѣстопребываніи Рудольфа Петровича Кауца, или доказательство его смерти. Рудольфъ Кауцъ до 1867 г. проживалъ въ Царствѣ Польскомъ, а около 1879 г. былъ на Кавказѣ.

—

Письма адресовать: Фабрика В. Кауца. Варшава, Эриванская, № 5.




ტფილისში ა. არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში და „კავკასიის ამხანაგობის“ საწყობში.


Доз. ценз. Тифлисъ, 8-го Марта 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე